

**ინკურაბელურ პაციენტთა პალიატიური მზრუნველობა
(მოსარგებლეთა გზამკვლევი)**

სახელმწიფო პროგრამის ფარგლებში, ინკურაბელური პაციენტების ცხოვრების ხარისხის გაუმჯობესების მიზნით, პროგრამის მოსარგებლეს შეუძლია მიიღოს როგორც ამბულატორიული, ისე სტაციონარული სამედიცინო მომსახურება და ასევე, აუცილებელი (ნარკოლოგიური ტკივილგამაყუჩებელი) მედიკამენტები.

ზოგიერთი დაავადების შორსწასული ფორმის შემთხვევაში აუცილებელია პაციენტმა მიიღოს ის მედიკამენტები და ზრუნვა, რაც გაანთავისუფლებს მას ტკივილისა და დისკომფორტისგან და გააუმჯობესებს მისი ცხოვრების ხარისხს. პალიატიური მზრუნველობის სახელმწიფო პროგრამა პაციენტს სწორედ ასეთ დახმარებას სთავაზობს.

პროგრამის ფარგლებში ამბულატორიული სპეციალიზებული პალიატიური მზრუნველობა უტარდება ქ. თბილისის, ქ. ქუთაისის, თელავის, ზუგდიდის, ოზურგეთის და გორის მუნიციპალიტეტებში რეგისტრირებულ საქართველოს მოქალაქეს, რომელთაც აღენიშნებათ:

- ✓ მე-4 კლინიკური ჯგუფის ავთვისებიანი სიმსივნე;
- ✓ შიდსის ტერმინალური სტადია;
- ✓ არაონკოლოგიური ქრონიკული მოპროგრესირე დაავადება ტერმინალურ სტადიაში.

პაციენტს ამბულატორიული პალიატიური მზრუნველობა მიეწოდება ბინაზე მობილური გუნდის (ექიმი/ექთანი) მიერ, რაც მოიცავს თვეში არაუმეტეს 8 ვიზიტს პაციენტთან და გრძელდება არაუმეტეს 6 თვისა.

ამ მომსახურების დაფინანსება სრულად ხორციელდება სახელმწიფოს მიერ და მომსახურების მიღებისას პაციენტმა არ უნდა გადაიხადოს რაიმე სახის გადასახადი.

სტაციონარული მომსახურება მოიცავს ინკურაბელურ პაციენტთა სტაციონარულ პალიატიურ მზრუნველობასა და სიმპტომურ მკურნალობას.

საჭიროების შესაბამისად, აღნიშნული მომსახურებით შეუძლია ისარგებლოს საქართველოს მოქალაქემ, რომელსაც აღენიშნება რომელიმე განუკურნებელი დაავადების ან შიდსის გვიანი სტადია. პროგრამა არ ვრცელდება ტუბერკულოზით დაავადებულ პაციენტებზე, რომელთა განკურნება სტანდარტული მეთოდებით შეუძლებელია.

პალიატიური ზრუნვის პროგრამაში მონაწილეობისათვის, საჭიროების შემთხვევაში, პაციენტმა ან მისმა მომვლელმა უნდა გამოიძახოს სასწრაფო სამედიცინო დახმარების სამსახური ან მიმართოს იმ დაწესებულებას, რომელიც ახორციელებს აღნიშნულ პროგრამას.

ჰოსპიტალიზებული პაციენტების სტაციონარული პალიატიური მზრუნველობის დაწესებულებაში ტრანსპორტირება, საჭიროების შემთხვევაში, ხორციელდება რეფერალური დახმარების ბრიგადის მიერ.

პროგრამის ფარგლებში ხორციელდება საქართველოს მოქალაქეთა და საქართველოში მუდმივად მცხოვრები იმ ინკურაბელური პაციენტების უზრუნველყოფა მედიკამენტებით, რომელთაც ექიმის დანიშნულებით ესაჭიროებათ ბინაზე ნარკოტიკული ტკივილგამაყუჩებელი მედიკამენტები.

- მედიკამენტები მოსარგებლეს გადაეცემა უსასყიდლოდ, თანაგადახდის გარეშე.
- ნარკოტიკული საშუალების გაცემის დამადასტურებელი ცნობისა და რეცეპტის ფორმა №1-ის მისაღებად უნდა მიმართოთ ოჯახის/უბნის ექიმს (დაწესებულებას, სადაც დარეგისტრირებულია პაციენტი) ან სოფლის ექიმს.

დაფინანსება ხორციელდება საწოდლის შესაბამისად, რომლის მაქსიმალური ღირებულება შეადგენს 75 ლარს. სახელმწიფო ფარავს მომსახურების 70%-ს, ხოლო მოსარგებლის მხრიდან თანაგადახდა შეადგენს 30%-ს. ამასთან, პროგრამის ფარგლებში შესაძლებელია მოსარგებლის მხრიდან თანაგადახდა შეადგენდეს 10% - 20%-ს ან დაფინანსდეს სრულად სახელმწიფოს მიერ.

მომსახურების მიმწოდებელი დაწესებულებები იხილეთ:

<https://nha.moh.gov.ge/storage/files/shares/Momwodebeli%20dawesebulebebi/inkurabeluri.pdf>

დამატებითი ინფორმაციის მისაღებად დარეკეთ სამინისტროს ცხელ ხაზზე 15 05